



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
საქართველოს ეროვნული არქივი



KA011902944188620

11 / მაისი / 2020 წ.

№ 8დ/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2018 წლის 30 ივნისის N14დ/ს ბრძანების „სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ელექტრონული დოკუმენტის მიღების, გაცემისა და დამონშემების განხორციელების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N246 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1.ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2018 წლის 30 ივნისის N14დ/ს ბრძანების „სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ელექტრონული დოკუმენტის მიღების, გაცემისა და დამონშემების განხორციელების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ მუხლი:


„მუხლი 4¹. დოკუმენტების ხელმისაწვდომობა მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით

4¹1. დაინტერესებულ პირს შეუძლია ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე www.my.gov.ge შეავსოს განცხადება დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების შესახებ, ეროვნული არქივიდან საარქივო ცნობების მიღების მიზნით.

4¹2. დაინტერესებულ პირს შეუძლია ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალიდან www.my.gov.ge იმ საარქივო ცნობის ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა, რომელიც, მისი განცხადების საფუძველზე, მომზადებულია ეროვნული არქივის მიერ მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული პროგრამის საშუალებით.“

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია 
ელექტრონულად

თენა იაშვილი

